



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
კომპიუტერული ტექნოლოგიების და საინჟინრო ფაკულტეტის სადოქტორო
პროგრამა

IoE (Internet of Everything) ტექნოლოგიების იმპლემენტაცია უნივერსიტეტების და
სკოლების საგანმანათლებლო პროცესში

აზამათ ჟამანოვ

კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო

ლელა მირცხულავა

ხელმძღვანელი:

(სახელი, გვარი)

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სან დიეგოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

1. პროფ. დოქტ. ირაკლი როდონაია

3. ასოც. პროფ. დოქტ. ვახტანგ როდონაია

2. ასოც. პროფ. დოქტ. მიხეილ რუხაია

ოპონენტები (სახელი, გვარი & სამეცნიერო ხარისხი):

1. ასოც. პროფ. დოქტ. ვეი ვანგ



2. ასოც. პროფ. დოქტ. ილიას მაგლოგიანის



3. პროფ. დოქტ. მედეა თევდორაძე

შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საზოგადოება მკვეთრად შეიცვალა. კომპიუტერები, სმარტფონები, ტაბლეტები და სხვა ჭკვიანი მოწყობილობები სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. დღესდღეობით ბევრ სტუდენტს აღარ აინტერესებს მოსმენასა და კონსპექტების ჩაწერაზე დაფუძნებული ტრადიციული სწავლების მეთოდები. მათი მოტივირებისა და საგნის სწავლისადმი სურვილის გასაღვივებლად შესაძლებელია სწავლების ისეთი ახალი მეთოდების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ ახალ მოთხოვნებსა და ინტერესებს. შემუშავებულია სწავლების ბევრი ახალი მეთოდი, რომლებიც ადაპტირებულია საზოგადოების შეცვლასთან (ფრედერიკსონი და სხვები, 2012; ფრიმანი და სხვები, 2007, მაქსიმოვიჩი, 2017; ჟამანოვი, 2012). ახალი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევენ მასწავლებლებს სტუდენტებისთვის განათლების მისაცემად გამოიყენონ ახალი მიდგომები.

მიუხედავად ამისა, ყველა სკოლა და უნივერსიტეტი არ გადასულა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაზე. უნივერსიტეტებში ლექციები კვლავ ძველი მეთოდოლოგიით, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების განხორციელების გარეშე ტარდება (აკინოგლე და ტანდოგანი, 2006). ტექნოლოგიის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც სტუდენტები და მასწავლებლები შეძლებენ შედეგების გაუმჯობესებასა და მეტი წარმატების მიღწევას. ტრადიციული სწავლების მიდგომის ერთი ალტერნატივაა „შებრუნებული“ სწავლების (flipped classroom) დანერგვა (ბეიკერი, 2012; ჰვანგი და სომანი, 2013) და გემიფიკაცია ანუ სწავლება თამაშის ფორმით (gamification) (Gamified UK). კომპიუტერული მეცნიერების სწავლების პროცესში ნივთების ინტერნეტის ელემენტების გამოყენება შეიძლება დიდი იმედის მომცემი მიდგომა იყოს (ჰერნი და სერანო, 2016; Intelligence, 2016).

ნივთების ინტერნეტი - ინტერნეტის ევოლუციის ამჟამინდელი ფაზა - ერთმანეთთან აკავშირებს ნივთებს, ადამიანებს, მონაცემებსა და პროცესებს. ნივთების ინტერნეტის ნივთები ფიზიკური მოწყობილობებია (ობიექტები), რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და ურთიერთქმედებენ მრავალ სერვერსა და კლიენტთან პერიოდულად და/ან მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა ტიპის

მომსახურებისა და სტატისტიკის უზრუნველსაყოფად. ჭკვიანი გასაღები წარმოადგენს იმის კარგ მაგალითს, თუ როგორი გავლენა აქვს ნივთების ინტერნეტს ადამიანის ჯანმრთელობაზე (გრაციანო, 2016). ნივთების ინტერნეტში ადამიანები წარმოადგენილია პორტატული მოწყობილობების სახით. დღეს ადამიანთა უმრავლესობა ერთმანეთს ეკონტაქტება მოწყობილობებით ინტერნეტის საშუალებით. ნივთების ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ჩვენ ერთმანეთს დავუკავშირდებით ახალი და ძვირადღირებული საშუალებებით. პორტატული მოწყობილობები და ტანისამოსი უკვე ცვლის საშუალებას, რომლითაც ვუკავშირდებით გლობალურ ქსელს (სტატი, 2017). ნივთების ინტერნეტის მონაცემები წარმოადგენს ადამიანების, სენსორებისა და საგნების მიერ წარმოშობილ ინფორმაციას. მონაცემები ანალიზის მეთოდთან კომბინაციაში ადამიანებსა და მექანიზმებს აწვდის პრაქტიკულ ინფორმაციას. ხდება უკეთესი გადაწყვეტილებების მიღება და უკეთესი შედეგების მიღწევა. მონაცემების გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა რაკურსიდან სიტუაციის გაანალიზება და პროცესის გაფართოება (მარი, 2015). ნივთების ინტერნეტის პროცესები მიმდინარეობს ნივთების ინტერნეტის ყველა სხვა მახასიათებელს შორის. სწორი პროცესების წყალობით კავშირი უფრო სრულყოფილი ხდება. ასეთი კავშირი უზრუნველყოფს სწორი ინფორმაციის მოწოდებას, რომელიც გადაეცემა სწორ ადრესატს სწორ დროსა და ყველაზე ხელსაყრელი გზით.


მკვლევარებმა სცადეს ნივთების ინტერნეტის განათლების სფეროში გამოყენება. მაქსიმოვიჩი (2017) აღწერს ნივთების ინტერნეტის მოდელს განათლებაში და მას ადარებს ტრადიციული განათლების მიდგომას. ინტერნეტის საინფორმაციო რესურსები, ინტერნეტ საზოგადოების პლატფორმა, ჭკვიანი პორტფელის სისტემები, მონაცემთა ანალიზის გაუმჯობესებული მეთოდები და გემიფიკაცია ვირტუალიზაციასთან ერთად წარმოადგენს ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი განათლების მეთოდის ნაწილებს. ავტორის მოლოდინით აღნიშნული მოდელი ითამაშებს უზარმაზარ როლს საგანმანათლებლო პროცესის ტრანსფორმაციაში. აქვე ავტორი განმარტავს, 2030 წლამდე თუ როგორ გავლენას იქონიებს განათლებაში დანერგილი ნივთების ინტერნეტი გარემოზე (GeSi, 2015). ეს გავლენა შეამცირებს ქაღალდზე ბეჭდვას სამაგიდე კომპიუტერების ლაბორატორიებად გადაქცევის გზით, რომლის დროსაც სტუდენტები გამოიყენებენ მხოლოდ საკუთარ მოწყობილობებს,

BYOD (სტუდენტების მიერ საკუთარი მოწყობილობების გამოყენების კონცეფცია), ელექტრონულ მასალასა და ქვიზს/ტესტს წარადგენენ ინტერნეტის საშუალებით. აბჰიმანიუ როიმ (2016) ჩაატარა კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაეხმარება ნივთების ინტერნეტზე დაფუძნებული ინოვაციები დიდ ქალაქებში მცხოვრებ ღარიბ ადამიანებს განათლების მიღებაში. როიმ აღმოაჩინა, რომ ქალაქში მცხოვრებ ღარიბთა მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დიდ ფულს ხარჯავენ ბეჭდური სასწავლო მასალის ყიდვაში. ამ მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მოთხოვნისამებრ სტუდენტების ციფრული ინფორმაციით უზრუნველყოფით. მარტი ვიდია სარიმ (2017) ჩაატარა კვლევა ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიების გამოყენებით ჭკვიანი კამპუსის განვითარებასთან დაკავშირებით. მარტიმ შექმნა ჭკვიანი კამპუსი, რომელიც შედგება ჭკვიანი განათლებისგან (ელექტრონული სწავლება, ვირტუალური კლასი ეხმარება სტუდენტებს ინტერნეტ კავშირის საშუალებით ინფორმაციის მოძიებაში ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს), ჭკვიანი პარკინგისგან (სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციას თავისუფალი ავტოსადგომების შესახებ) და ჭკვიანი ოთახისგან (ოთახის დაჯავშნის სისტემა). მაქბულ ალიმ (2017) ჩაატარა კვლევა სამედიცინო განათლებაში ნივთების ინტერნეტზე დაფუძნებულ „შებრუნებული“ სწავლების პლატფორმასთან დაკავშირებით (ioTFLiP), რომელშიც გამოყენებულია ნივთების ინტერნეტის ინფრასტრუქტურა „შებრუნებული“ სწავლების ანალოგზე დაფუძნებული სწავლების მხარდასაჭერად. კვლევა აღწერს ioTFLiP მოდელს და აჩვენებს მის დადებითსა და უარყოფით მხარეებს.

კვლევის გეგმა

სამუშაო აღწერს „შებრუნებული“ კლასის როგორც ნივთების ინტერნეტის ნაწილის დანერგვას საგნის - „კომპიუტერული ქსელები“ - სწავლების პროცესში, რომელიც ინტეგრირებულია „სისკო“-ს ქსელურ აკადემიასთან (netacad.com), და ნივთების ინტერნეტში შესვლის სისტემის დანერგვას სულეიმან დემირელის სახელობის უნივერსიტეტში. კვლევის გეგმა იწყება ლიტერატურის მიმოხილვით (თავი 1) განათლების სექტორში გამოყენებულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით კვლევის უარყოფითი მხარეებისა და პრობლემების აღმოჩენის მიზნით. შემდეგ განვსაზღვრავთ

კვლევასთან დაკავშირებულ შეკითხვებს, რაც დაგვეხმარება კვლევის უარყოფითი მხარეებისა და პრობლემების მოგვარებაში. მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც ხდება ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის დანერგვა საგანმანათლებლო პროცესში (1-ლი მცდელობა), მოცემულია მე-2 თავში. სემესტრის ბოლოს სტუდენტები „შებრუნებული“ კურსის საფუძველზე წარადგენენ საპასუხო გამოკითხვას, ხოლო მასწავლებელი აფასებს სტუდენტთა ნიშნებს და ადარებს მათ იმ სტუდენტთა ნიშნებს, რომლებიც სწავლობენ ტრადიციული განათლების მიდგომით. ამის შემდეგ სტუდენტთა შენიშვნებისა და შეფასებების გამოყენებით განიხილება „შებრუნებული“ კლასის მეთოდოლოგია. ხდება კვლევის ახალი უარყოფითი მხარეების აღმოჩენა და შემდეგ გამოსწორება „შებრუნებული“ კლასის მეთოდოლოგიის მოდიფიცირებით. მე-3 თავში განვსაზღვრავთ უნივერსიტეტში თანამშრომლებისა და სტუდენტების მონიტორინგის პრობლემებს, რომელთა მოგვარება შესაძლებელია ნივთების ინტერნეტში შესვლის მონიტორინგის სისტემით. ჩვენ კვლევას ვატარებთ მზა პროდუქტებზე, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია უნივერსიტეტში, ვახდენთ მათ შედარებასა და ვიღებთ გადაწყვეტილებას საკუთარი ნივთების ინტერნეტში შესვლის სისტემის შესამუშავებლად, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს და მოგვცემს ბიუჯეტის დაზოგვის საშუალებას. შემდეგ ჩვენ ვადარებთ თანამშრომელთა მონიტორინგის ანგარიშებს ნივთების ინტერნეტში შესვლის სისტემის დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ. სქემა 1 - ში წარმოდგენილია სადოქტორო დისერტაციის კვლევის გეგმა.



გრაფიკი 1. სადოქტორო დისერტაციის კვლევის გეგმა

მეთოდოლოგია

ნაშრომი წარმოადენს დედუქციურ კვლევას წინა ნაშრომებზე დაკვირვებითა და შედარებით, ექსპერიმენტების განხორციელების უზრუნველყოფით, სამუშაოს შეფასებებით, მოდელის შეცვლითა და ახალი ექსპერიმენტების განხორციელებით, რაც გვეხმარება საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებაში.

ცხრილი 1. სწავლების გრაფიკი

#	დავალების აღწერა
1	<p>წინა კვლევებისა და ნაშრომების შეფასება:</p> <p>თავი 1 - უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროცესში არსებული ნივთების ინტერნეტის აპლიკაციების ლიტერატურის მიმოხილვა ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასისა და ჭკვიანი კამპუსის RFID-ის (რადიოსიხშირის ინდენტიფიკაციის ტექნოლოგიის) ელემენტების ჩათვლით.</p>
2	<p>ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის გეგმა:</p>

	<p>„შებრუნებული“ კლასის კონცეფცია, ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასი, 1-ლ თავში აღწერილი კლასის „შესაბრუნებლად“ გამოყენებული აპლიკაციები. ასევე 1-ლ თავში აღწერილი ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული კლასის“ მოდელი.</p>
3	<p>განხორციელება და გამოცდა:</p> <p>ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასი განხორციელდა და გამოიცადა ორჯერ ორი სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა პარამეტრებით, ხოლო ნივთების ინტერნეტი განხორციელდა ერთხელ და გამოყენებულ იქნა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობის მონიტორინგის მიზნით.</p>
4	<p>შეფასება:</p> <p>ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი ყოველი „შებრუნებული“ კლასის განხორციელების შემდეგ ვადგენთ სტატისტიკას მონაწილეთა ნიშნებისგან, YouTube-დან, სტუდენტთა გამოკითხვებისგან და ადმინისტრაციისგან რეგულარულად მიღებული სემესტრული ანგარიშებისგან.</p>
5	<p>გავრცელება:</p> <p>კვლევის შედეგები გავავრცელეთ რამენიმე სამეცნიერო სტატიის საშუალებით.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სულეიმან დემირელის უნივერსიტეტში „შებრუნებული“ კლასის როგორც ნივთების ინტერნეტის ელემენტის განხორციელება საგნის - „კომპიუტერული ქსელები“ - სწავლების პროცესში - <i>ტექნიკური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ჟურნალი (JTST) ტომი 6, # 1 (2017).</i> 2. ნივთების ინტერნეტის ჭკვიანი კამპუსის მიმოხილვა და ნივთების ინტერნეტის აპლიკაციების განხორციელება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში - <i>საერთაშორისო კონფერენცია ელექტრონიკის, კომპიუტერული და გამოთვლითი ტექნიკის შესახებ "ICECCO 2017".</i> 3. კომპიუტერული ქსელის სასწავლო პროცესში „შებრუნებული“ კლასის როგორც ნივთების ინტერნეტის ელემენტის განხორციელება და შეფასება - საინფორმაციო კომუნიკაციისა და ტექნოლოგიური განათლების საერთაშორისო ჟურნალი (<i>IJICTE</i>), <i>ტომი 14, ნომერი 2, აპრილი-ივნისი 2018, გვ. 30-47.</i>

ზემოთ მოცემულია წინამდებარე ნაშრომში შესრულებული სამუშაოს პრაქტიკული მიდგომის მოკლე მიმოხილვა. შემდგომ თავებში გავავრცობთ მის დეტალებს და აღვწერთ თითოეულ მოდელსა და მეთოდს და განვმარტავთ შედეგებს.

სწავლების მიზანი

სწავლების მიზანს წარმოადგენს ნაშრომის ამოცანების დადასტურება ისეთი ნივთების ინტერნეტის აპლიკაციების განხორციელებისა და შეფასების გზით, როგორებიცაა კომპიუტერული ქსელების სწავლებაში ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასი და ნივთების ინტერნეტში შესვლის სისტემის როგორც ჭკვიანი კამპუსის ნაწილი, რათა გაუმჯობედეს განათლება და სტუდენტთა/პროფესორ-მასწავლებელთა მონიტორინგის სისტემა ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიების საშუალებით.

კვლევის სიახლე

წინამდებარე კვლევის სიახლე მდგომარეობს იმ ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიების განხორციელებაში, რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული განათლების სექტორში ყაზახეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სხვა ქვეყნებში. ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასი გვებმარება სტუდენტთა შედეგების გაუმჯობესებაში და საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს, 3-5 წლის განმავლობაში ერთხელ ჩაწერილი ვიდეო-გაკვეთილების გამოყენებით დაზოგოს ფული, ისე რომ ლექციისთვის პედაგოგს არ გადაუხადოს გასამრჯელო. ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიების გამოყენებით პროფესორ-მასწავლებელთა/სტუდენტთა მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას რეალურ დროში აქვს მონაწილეობისასთან დაკავშირებული ანგარიშები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლის (KPI) შესაფასებლად.

სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევას აქვს როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. ემპირიული დედუქციური კვლევის გამოყენებით შეგვიძლია განვსაზღვროთ განათლებაში ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიების დადებითი გავლენა სტუდენტებზე და ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიების გამოყენებით პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობის გაუმჯობესება. ჩვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავნერგოთ ეს სისტემა საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ცოდნის საერთო დონის ასამაღლებლად ყაზახეთში და ასევე დსთ-ს ქვეყნებში.

სამუშაოს სტრუქტურა და მოცულობა

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი შედება 135 გვერდისგან და ორგანიზებულია შემდეგნაირად: სამადლობელი სიტყვა, შინაარსი, ცხრილების ჩამონათვალი, გრაფიკების ჩამონათვალი, აბრევიატურები, შესავალი, კვლევის გეგმა, სამი ძირითადი თავი (თავი 1 - ლიტერატურის მიმოხილვა, თავი 2 - ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის განხორციელება კომპიუტერულ ქსელებში, თავი 3 - ნივთების ინტერნეტში შესვლის სისტემა პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის), დასკვნა და სამომავლო სამუშაო და გამოყენებული ლიტერატურა.

თავი 1 – ლიტერატურის მიმოხილვა

ნივთების ინტერნეტის კონცეფცია და კომპონენტები

ინტერნეტის ევოლუციის ოთხი ფაზა

- კავშირი - დაიწყო 20 წელზე მეტი ხნის წინ, ციფული წვდომა ინფორმაციაზე; ელ-ფოსტა, ინტერნეტში ვებ-გვერდებზე შესვლა, ძიება.
- ქსელური ეკონომიკა - დაიწყო 1990-იანი წლების მიწურულს, ციფრული ბიზნეს პროცესი: ელექტრონული კომერცია, ციფრული მიწოდების ჯაჭვი, თანამშრომლობა.

- კოლაბორაციული გამოცდილება (გუნდში თანამშრომლობის გამოცდილება) - დაიწყო 2000-იანი წლების დასაწყისში, ციფრული ურთიერთობები (ბიზნეს და სოციალური): სოციალური ქსელები („ფეისბუქი“, VK, „იუთუბი“, „ლინქედინი“ და ა.შ.), მობილურობა და „ქლაუდი“ („დროფბოქსი“, „გუგლ დრაივი“, „მეილ ქლაუდი“ და ა.შ.), ვიდეო „ქლაუდი“ („იუთუბი“, VK და ა.შ.).
- ნივთების ინტერნეტი - ინტერნეტის ევოლუციის ამჟამინდელი ფაზა, ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს, საგნებს, ინფორმაციასა და პროცესებს.

„შებრუნებული“ კლასის მახასიათებლები

„ლექცია - გმობენ, ეზიზღებათ, დასცინიან კიდევაც“ (ბრაიან გუდვინი, 2013). მაგრამ ლექცია ცუდი არ არის; იგი შესაძლოა იყოს ცოდნის დამატებითი გზებით მიწოდების ინსტრუმენტი (ჰატი, 2008). ლექციის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებს აქვთ ცოდნის სხვადასხვა საფუძველი და ინფორმაციის აღქმის სხვადასხვა დონე. სტუდენტთა ერთი ნაწილისთვის ლექცია შესაძლოა ნელი იყოს, ხოლო მეორე ჯგუფისთვის იმავე ლექცია - მეტისმეტად სწრაფი. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი სტუდენტებს მისცემს დავალებას, მიუხედავად იმისა, სტუდენტს ესმის თუ არა საგანი, იგი ვალდებულია, შეასრულოს ეს დავალება. ზოგ მასწავლებელს შემოაქვს ვიდეო გაკვეთილები და დამატებითი სასწავლო მასალის სახით ურიგებს სტუდენტებს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მხარი აუბან დანარჩენებს, რომელთათვისაც გასაგებია მასალა ლექციის დროს. სტუდენტების თავს გრძნობენ მოქნილად და კომფორტულად; მათ, ვისთვისაც მასალა სავსებით გასაგებია, არ სჭირდებათ ვიდეოს ყურება; მათთვის, ვინც ვერ გაიგო ლექცია, მთლიანი მასალა სასარგებლო იქნება, ხოლო რამდენიმე მათგანისთვის ვიდეო გაკვეთილები ნაწილობრივ სასარგებლო იქნება (ბრაიან გუდვინი, 2013).

„შებრუნებული“ კლასის ჩანაფიქრი მარტივია: ნაცვლად კლასში ლექციის ჩატარებისა და შინ საშინაო დავალების მიცემისა, შეაბრუნეთ იგი: შინ მიეცით ლექციები, ხოლო კლასში გააკეთებინეთ საშინაო დავალება.“ (ფრიდენბერგი, 2012).

(„შებრუნებული“ კლასის, 2012) თანახმად, სოციალური ვებ-გვერდების მქონე წევრთა რაოდენობა 2011 წელს არსებული 2,5 ათასი მომხმარებლიდან 2012 წელს გაიზარდა 9 ათას მომხმარებლამდე. („შებრუნებული“ კლასის, 2012) კვლევა გვაძლევს

ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მასწავლებელთა 67%-მა (453 მასწავლებელი), რომელთაც „შეაბრუნეს“ კლასი, განაცხადა, რომ სტუდენტთა ნიშნები გაიზარდა, 80%-მა აღნიშნა სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის დამოკიდებულების გაუმჯობესება, ხოლო 99%-მა გამოთქვა კლასის „შეაბრუნების“ სურვილი მომდევნო წელსაც.

არსებობს კლასის „შეაბრუნების“ ბევრი ტიპი/მოდელი. (პანოპტო, 2017)-ის ანგარიშის მიხედვით, არსებობს „შეაბრუნებული“ კლასის შვიდი ძირითადი კონცეფცია: სტანდარტული „შეაბრუნებული“ კლასი, დისკუსიაზე ორიენტირებული „შეაბრუნებული“ კლასი, ილუსტრაციებზე ფოკუსირებული „შეაბრუნებული“ კლასი, ხელოვნური „შეაბრუნებული“ კლასი, ჯგუფზე დაფუძნებული „შეაბრუნებული“ კლასი, ვირტუალური „შეაბრუნებული“ კლასი და „მასწავლებლის შეაბრუნება“.

„შეაბრუნებული“ კლასი და ნივთების ინტერნეტი

„შეაბრუნებული“ კლასი არის განათლების სფეროში ნივთების ინტერნეტის ნაწილი და წარმოადგენს ახალ მიდგომას, რომელიც ყაზახეთის განათლების სექტორში, სასწავლო პროცესში ჯერ არ დანერგილა. „შეაბრუნებული“ კლასი წარმოადგენს მოდელს, რომელშიც კურსის საშინაო დავალებები და ლექციები „შეაბრუნებულია“ (MF, 2012). უმეტესწილად „შეაბრუნებული“ კლასი მოიცავს შემდეგს: გაკვეთილზე დასწრებამდე სტუდენტები უყურებენ წინასწარ ჩაწერილ ვიდეო გაკვეთილებს, ხოლო გაკვეთილის დროს ჩაბმული არიან ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა: დავალებების შესრულება, კითხვებზე პასუხის გაცემა, სემინარი და თამაშები. გაკვეთილის დროის გამოყენება ასევე შესაძლებელია კლასში დროის დახარჯვის ბევრი სხვა ფორმითაც (ჯონ მორაროსი, 2015). „შეაბრუნებული“ კლასის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სტუდენტებში ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას კურსის მასალის სწავლის უნარის გამომუშავება. როდესაც სტუდენტები ესწრებიან გაკვეთილს, ისინი პრობლემებს ჭრიან და დავალებებს ასრულებენ ვიდეო გაკვეთილებიდან და ინტერნეტის საშუალებით წაკითხული მასალიდან მიღებული ცონის გამოყენებით. „შეაბრუნებული“ კლასი წარმოადგენს

ნივთების ინტერნეტის ნაწილს ნივთების ინტერნეტის მოდელის „პროცესისა“ და „მონაცემების“ ძირითად მახასიათებლებში.

თავი 2. ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული კლასის“ განხორციელება კომპიუტერულ ქსელებში

კურსი „შებრუნებული“ არაოფიციალურად განხორციელდა სულეიმან დემირელის უნივერსიტეტში, რადგანაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ნება დაგვრთო „შებრუნებული“ კლასის განხორციელებაზე, რომელიც დაიწყო 2017 წლის შემოდგომის სემესტრიდან. ცხრილი 2-ში ნაჩვენებია INF 314 კომპიუტერული ქსელების 1 კურსის სტრუქტურა.


ცხრილი 2. INF 314 კომპიუტერული ქსელების 1 კურსის სტრუქტურა

INF 314 კომპიუტერული ქსელების 1 კურსის სტრუქტურა	
კრედიტები	3
კრედიტები ECTS-ს (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა) მიხედვით	5
ლექცია	1 საათი
სემინარი	1 საათი
ლაბორატორიული სამუშაო	2 საათი

ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის მონაწილეები

2016-2017 სასწავლო წელს კომპიუტერული ქსელები 1-ის (ინტეგრირებული „სისკო“-ს ქსელური აკადემიისა და CCNA-ის (სისკოს სერტიფიცირებული ქსელის სპეციალისტი) RS1, RS2 კურსებთან) კლასში სწავლობდა კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის 84 მეორეკურსელი. 84 სტუდენტიდან 73-მა (86%) თანხმობა განაცხადა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

გრაფიკი 1-ში აღწერილია მასწავლებლის სტუდენტებთან კომუნიკაციის სტრუქტურა.



გრაფიკი 1. მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის სტრუქტურა

„შებრუნებული“ კლასი განხორციელდა არაოფიციალურად 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში კლასამდელი აქტივობებისა („იუთუბ“-ზე ონლაინ ვიდეო გაკვეთილები <https://www.youtube.com/channel/UCcQLKoayxTjAD28TVNAYzBw> („იუთუბ“-ის სტატისტიკა ცხრილ 3-ში მოცემული ქვეყნების მიერ) და „სისკო“-ს ქსელური აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინტერაქტიული ელექტრონული წიგნი (eBook) <https://www.netacad.com/>) და ii) კლასში ჩატარებული აქტივობების გამოყენებით (სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები, ინტერვიუები, პრაქტიკული ლაბორატორიული სამუშაოები და ინტერაქტიული დავალებები). სტუდენტები ესწრებოდნენ ერთსაათიან ლექციებს (რადგანაც ჩვენ არაოფიციალურად „შევაბრუნეთ“ კურსი, ჯერ კიდევ გვესაჭიროებოდა ერთსაათიანი ოფიციალური ლექციები, თუმცა ამავდროულად სტუდენტები წარადგენდნენ ვიდეო გაკვეთლებისა და netacad.com-ზე მოძიებული ონლაინ მასალების საფუძველზე მომზადებულ პრეზენტაციებს), ორსაათიან ლაბორატორიულ სამუშაოებსა და ერთსაათიან სემინარებს.

კლასამდელი აქტივობა სავალდებულო იყო სტუდენტებისთვის, რომლებიც ესწრებოდნენ სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს. თითოეული კლასამდელი აქტივობის დროს სტუდენტები უყურებდნენ მასწავლებლის მიერ ჩაწერილსა და „იუთუბ“-ის არხზე ატვირთულ ვიდეოებს (სხვადასხვა თავებთან

დაკავშირებით, სხვადასხვა ხანგრძლივობის ვიდეოებს), netacad.com-ზე კითხულობდნენ ონლაინ მასალას.

ცხრილი 3. სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები	ყურების დრო (წუთები)	ნახვის რაოდენობა	ნახვის საშუალო პროცენტულობა	მოწონება	გაზიარება	გამომწერი
ყაზახეთი	20320	3178	15.97	80	26	93
საფრანგეთი	299	30	28.19	0	0	0
ერაყი	234	46	10.88	4	0	1
შეერთებული შტატები	219	48	10.7	0	0	1
ავსტრია	150	14	28.5	1	1	0
უნგრეთი	129	11	32.85	0	0	0
რუსეთი	126	23	14.29	0	0	3
გაერთიანებული სამეფო	108	17	17.74	0	0	1
დანია	52	4	36.32	0	0	0
კოსტა რიკა	51	1	80.59	0	0	0
მალაიზია	49	8	19.09	0	0	0
ლატვია	48	2	41.89	0	0	0
ავსტრალია	32	1	111.11	0	0	0
სამხრეთ აფრიკა	31	4	17.01	0	0	0
საუდის არაბეთი	30	8	11.3	0	0	0
ინდოეთი	25	34	1.8	0	0	3
ნიდერლანდები	13	5	7.7	0	0	0
კანადა	10	7	4.77	0	0	0
არგენტინა	7	1	20.93	0	0	0
გერმანია	6	11	1.5	0	0	0
განა	4	3	5.35	0	0	0

სტუდენტთა გამოკითხვა და პირველი მცდელობის შეფასება

კურსის დამთავრებისას მასწავლებელმა სტუდენტებს დაურიგა კითხვარი კომპიუტერული ქსელები 1-ის კურსზე „შებრუნებული“ კლასის განხორციელებასთან დაკავშირებით. ცხრილ 4-ში მოცემულია კითხვარი, ხოლო ცხრილ 5-ში - სტუდენტთა პასუხები.

ცხრილი 4. გამოკითვის კითხვარი სტუდენტებისთვის

#	შეკითხვა
1	თქვენი მასწავლებლის მიერ მომზადებული ვიდეო გაკვეთილების ხარისხი ძალიან კარგია?
2	თქვენი მასწავლებლის მიერ მომზადებული ვიდეო გაკვეთილები გასაგებია?
3	ამზადდებით გაკვეთილებს ძირითადად თქვენი მასწავლებლის მიერ მომზადებული ვიდეო გაკვეთილების გამოყენებით?
4	ამზადდებით გაკვეთილებს ძირითადად სხვა რესურსების გამოყენებით?
5	იყო სემინარის კითხვები შედგენილი ვიდეო გაკვეთილებისა და netacad.com-ს საფუძველზე?
6	სემინარს კარგი ფორმატი აქვს იმისთვის, რომ შეფასდეს ვიდეო გაკვეთილებიდან მიღებული თქვენი ცოდნის დონე?
7	მოგწონთ სტუდენტების (ჯგუფელების) მიერ მომზადებულ ლექციებში მონაწილეობის მიღება?
8	ქვიზის კითხვები და ფორმატი კარგია ცოდნის დონის გასაგებად?
9	netacad.com-ის შეკითხვებისგან შედგენილი ონლაინ ქვიზი და მისი ფორმატი კარგია ცოდნის დონის გასაგებად?
10	მოგწონთ netacad.com-ზე წაკითხული მასალის გამოყენებით გაკვეთილების მომზადება?
11	არის Cisco Packet Tracer-ით ჩატარებული ლაბრატორიული სამუშაოები ძალიან სასარგებლო როუტერებისა და სვიჩების კონფიგურაციისთვის?
12	მოგწონთ ლაბორატორიული სამუშაოების ფორმატი?
13	ზოგადად, გესმით, რა არის კომპიუტერული ქსელი?
14	ისურვებდით, რომ ყველა სხვა გაკვეთილიც მსგავსი ფორმატით ჩატარდეს (ვიდეო გაკვეთილების გამოყენებით და აუდიტორიაში ჩატარებული ტრადიციული ლექციების გარეშე)?
15	თუ უნივერსიტეტი გააუქმებს ტრადიციულ ლექციებს და დანერგავს „მებრუნებული“ კლასის ფორმატს, რომლის დროსაც თქვენ გექნებათ ვიდეო გაკვეთილები, როგორ ფიქრობთ, ეს უფრო გააადვილებს და ეფექტურს გახდის სწავლას?
16	მომავალში გაქვთ სურვილი აიღოთ Cisco CCNA (სერტიფიცირებული ქსელის სპეციალისტის) სერტიფიკატი?
17	ვიდეო გაკვეთილები ჯობია, თუ აუდიტორიებში ჩატარებული ტრადიციული ლექციები?

ცხრილი 5. სტუდენტების პასუხები (ერთეული: %)

შეკითხვა # ცხრილი 7-ში	სრულიად ვეთანხმები (A)	ვეთანხმები (B)	ნეიტრალური (C)	არ ვეთანხმები (D)	სავსებით არ ვეთანხმები (E)	A+	D+
						B	E


1	50.7	43.8	2.7	2.8	0	94.5	2.8
2	38.4	50.7	5.5	5.4	0	89.1	5.4
3	32.9	49.3	11	5.4	1.4	82.2	6.8
4	1.4	37	30.1	23.3	8.2	38.4	31.5
5	27.4	50.7	17.8	2.7	1.4	78.1	4.1
6	8.2	35.6	26	24.7	5.5	43.8	30.2
7	9.6	38.4	32.9	11	8.1	48.0	19.1
8	4.1	46.6	38.3	11	0	50.7	11
9	11	32.9	39.7	12.3	4.1	43.9	16.4
10	6.8	28.8	43.8	19.2	1.4	35.6	20.6
11	43.8	46.6	8.2	1.4	0	90.4	1.4
12	21.9	47.9	20.5	9.5	0	69.8	9.5
13	21.9	74	4.1	0	0	95.9	0
14	17.8	37	30.1	12.3	2.6	54.8	14.9
15	13.7	41.1	26	15.1	4.1	54.8	19.2
16	12.3	41.1	35.6	9.6	1.4	53.4	11
17	24.7	45.2	19.1	11	0	69.9	11

ჩვენი კვლევის განმავლობაში სტუდენტთა ერთი ნაწილი სწავლობდა ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის მეთოდოლოგიით, ხოლო დანარჩენები ტრადიციული მიდგომით. შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ ჩვენ შევადარეთ „შებრუნებული“ კლასის გავლენა სასაწვლო პროცესზე. ცხრილ 6-სა და გრაფიკ 3-ში შედარებულია „შებრუნებული“ კლასის და ტრადიციული მეთოდი. „შებრუნებულ“ კლასში სტუდენტთა დასწრება 15%-ით მაღალია ტრადიციულთან შედარებით. სტუდენტთა მიერ მომზადებული ლექციები მეტად საინტერესო იყო სტუდენტებისთვის, ვინაიდან მათ ესმოდათ ერთმანეთის და ლექციებზე ერთმანეთს ეხმარებოდნენ. თითქმის ყველა მათგანი ესწრებოდა პრაქტიკულ გაკვეთილებსა და

სემინარებს და ვიდეო გაკვეთლებიდან და netacad.com.-ზე წაკითხული ონლაინ მასალიდან იცოდნენ ტექნოლოგია ან პროტოკოლი. „შებრუნებულ“ კლასში საშუალო ლაბორატორიული სამუშაოს ქულა დაახლოებით 9%-ით მაღალია ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით, ხოლო საშუალო ქვიზ1-ისა და ქვიზ2-ის ქულები „შებრუნებულ“ კლასში 32,5%-ით მაღალია, ვიდრე ტრადიციული მიდგომის შემთხვევაში. საშუალო ონლაინ ქვიზ1-ის ქულა ორივე მიდგომის შემთხვევაში თითქმის იგივეა და უტოლდება 55%-ს, მაგრამ ქვიზ2-ის ქულა მნიშვნელოვნად განსხვავდება - 80,25% „შებრუნებულ“ კლასში, ხოლო 58,78% ტრადიციული მიდგომის შემთხვევაში. საშუალო საბოლოო საგამოცდო შეფასება განსხვავდება დაახლოებით 20%-ით „შებრუნებული“ კლასის სასარგებლოდ. და ბოლოს, „შებრუნებული“ კლასის მიდგომა 19%-იანი სხვაობით უსწრებს ტრადიციულს.

ცხრილი 6. „შებრუნებული“ და ტრადიციული კლასების შედეგების შედარება

	„შებრუნებული“ კლასი	ტრადიციული
დასწრება	90,93	75,78
ლაბორატორიული სამუშაო	60,96	51,78
ქვიზი 1	74,2	39,67
ქვიზი 2	75,22	45,35
შუასემესტრული	74,63	50,51
ონლაინ 1	57,32	55,57
ონლაინ 2	80,25	58,78
საბოლოო	80,45	60,41
საშუალო	74,24	54,73



გრაფიკი 2. „შებრუნებული“ კლასისა და ტრადიციული მეთოდების შედარება ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის განხორციელების მე-2 მცდელობა

მოდულიზაცია მეთოდოლოგიაში

კომპიუტერულ ქსელებში 1 „შებრუნებული“ კლასის წინა გამოცდების შედეგებზე დაყრდნობითა და სტუდენტთა მიერ კვლევის შეფასების შესაბამისად გადაწყვიტეთ, ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის საგანმანათლებლო პროცესში დანერგავსთან დაკავშირებით შეგვეტანა შემდეგი ცვლილებები:

ცხრილი 7. ცვლილებები ნივთების ინტერნეტის „შებრუნებული“ კლასის განხორციელების მეორე მცდელობაში

ცვლილებები ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის განხორციელების მეორე მცდელობაში	
ამოღებული ელემენტი	დამატებული ელემენტი
„გუგლ“-ის ბლოგერი (Google blogger)	„ტელეგრამ“-ი (Telegram)
სემინარები (ნაწილობრივი)	„კაჰუტ“ (Kahoot!) სესიები
თანატოლთა ლექციები (სრული სესიები)	თანატოლთა ლექციები (მოკლე სესიები)
„გუგლ დრაივ“-ი (Google drive)	თანატოლთა მიერ მომზადებული ვიდეო გაკვეთლები
	თანატოლთა მიერ მომზადებული ვიდეო პრეზენტაციები

ცხრილ 7-ში ჩამოთვლილია ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის განხორციელების მეორე მცდელობაში შეტანილი ცვლილებები. წინა სემესტრისა და 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „შებრუნებულ“ კურსთან შედარებით ამოღებულ იქნა „გუგლ“ ბლოგი და „გუგლ დრაივ“-ი „ტელეგრამ“-ით სარგებლობის გამო. იგი ასრულებს „გუგლ“-ის ორივე პროდუქტის ფუნქციებს. ბლოგინგი ხელმისაწვდომია „ტელეგრამ“-ის არხის ახალი ფორმატით, რომელიც შესაძლოა იყოს საჯარო, საძიებო და ხელმისაწვდომი „ტელეგრამ“-ის მიერ შემუშავებული ნებისმიერი ბლოგისთვის და ფაილების გაცვლის სისტემისთვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია მონაცემთა გადაცემა მაქსიმუმ 1,5 გიგაბაიტის ზომის ერთი ფაილის სახით „ტელეგრამ ქლაუდ“-ის საშუალებით. ყველა გადაცემული ფაილი კოდირებულია ნიკოლაი დუროვის მიერ 2048-ბიტ RSA (რივესტ-შამირ-ედელმანის) კოდირებაზე, AES 256-ბიტ კოდირებასა და დიფი-ჰელმანის გასაღებების გაცვლაზე („ტელეგრამ“-ი, 2017) დაყრდნობით შემუშავებული MTProto კოდირების პროტოკოლის შესაბამისად „ტელეგრამ ქლაუდ“-ში შენახული ფაილების სრული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ცხრილ 8-ში შედარებულია კლასამდელი და საკლასო აქტივობები.

ცხრილი 8. კლასამდელი და საკლასო აქტივობები

კლასამდელი აქტივობა	საკლასო აქტივობა
ვიდეო გაკვეთილების ყურება	მოკლე პრეზენტაცია გეგმის მიხედვით
მასალის წაკითხვა http://netacad.com -ზე	Kahoot-ს თამაში (ონლიან ტესტი)
პაკეტების ტრეისერი ??? ლაბორატორიული სამუშაოები Cisco Networ Academy-დან Packet tracer დამოუკიდებელი ლაბორატორიული სამუშაოები Cisco Networking Academy-დან	ლაბორატორიული სამუშაოს შესწავლა მასწავლებლის მიერ
მოკლე პრეზენტაციისთვის მომზადება	ლაბორატორიული სამუშაო
მოკლე ტესტისთვის მომზადება Prepare (Kahoot-ს თამაში)	ინტერვიუ მიწოდებული ლაბორატორიული სამუშაოს მიხედვით
Cisco Aspire	Cisco Aspire
	პრაქტიკული ლაბორატორია (ლაბორატორიული სამუშაოები)

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში კურსი “INF 314 - კომპიუტერული ქსელები 1” ოფიციალურად „შებრუნდა“ კურსის გეგმაში მოდიფიკაციებთან ერთად. კურსი შედგება სამი კრედიტისა და ECTS-ის 5 კრედიტისგან, ორსაათიანი პრაქტიკული და ორსაათიანი ლაბორატორიული სამუშაოებისგან.

ცხრილი 9-ში მოცემულია Lifetime YouTube-ის სტატისტიკა გეოგრაფიული ადგილმდებარეობების მიხედვით

ცხრილი 9. Lifetime YouTube-ის სტატისტიკა გეოგრაფიული ადგილმდებარეობების მიხედვით

ქვეყნები	ყურების დრო (წუთები)	ნახვა	ნახვის საშუალო ხანგრძლივობა (წუთები)	ნახვის საშუალო პროცენტულობა
ყაზახეთი	57787	8381	6.9	18.08
შეერთებული შტატები	1284	198	6.5	16.84
ესპანეთი	891	80	11.1	26.47
კანადა	591	70	8.4	22.91
საფრანგეთი	311	36	8.6	23.81
ავსტრალია	280	36	7.8	20.63
ერაყი	234	46	5.1	10.88
გაერთიანებული სამეფო	226	42	5.4	14.11
ინდოეთი	211	80	2.6	6.32
ავსტრია	170	17	10	27.62
რუსეთი	134	34	3.9	12.07
უნგრეთი	129	14	9.2	26.88
რუმინეთი	128	12	10.7	35.18
სამხრეთ აფრიკა	120	77	1.6	3.86
ლიბია	113	31	3.7	9.57
ნიდერლანდები	80	17	4.7	11.49
უკრაინა	77	15	5.1	11.32
მალაიზია	73	12	6.1	16.3
კოსტა რიკა	57	2	28.5	55.15
დანია	52	5	10.4	28.45
ლატვია	48	2	23.9	41.89

ცხრილი 10-ში შედარებულია ტრადიციული განათლება და ნივთების ინტერნეტით აღჭურვილი „შებრუნებული“ კლასის განხორციელების პირველი და მეორე მცდელობები.

ცხრილი 10. ტრადიციულისა და „შებრუნებული“ კლასის განხორციელების 1-ლი და მე-2 მცდელობების შედარება

	ტრადიციული	„შებრუნებული“ კლასი 1-ლი მცდელობა	„შებრუნებული“ კლასი მე-2 მცდელობა
დასწრება	75,78	90,93	89,2
ლაბორატორიული სამუშაოები	51,78	60,96	72,3
ქვიზი 1	39,67	74,2	83,2
ქვიზი 2	45,35	75,22	79,1
შუასემესტრული	50,51	74,63	77,43
ონლიან 1	55,57	57,32	75,4
ონლიან 2	58,78	80,25	83,2
საბოლოო	60,41	80,45	79,4
საშუალო	54,73	74,24	79,87

სტუდენტთა გამოკითხვა და პირველი მცდელობის შეფასება

კურსის ბოლოს მასწავლებელმა სტუდენტებს დაურიგა კითხვარი კომპიუტერული ქსელები 1-ის კურსზე „შებრუნებული“ კლასის განხორციელებასთან დაკავშირებით. ცხრილ 11-ში მოცემულია გამოკითხვის კითხვარი, ხოლო ცხრილ 12-ში - სტუდენტთა პასუხები.

ცხრილი 11. მე-2 მცდელობასთან დაკავშირებული გამოკითხვის კითხვარი სტუდენტებისთვის

#	შეკითხვა
1	თქვენი მასწავლებლის მიერ მომზადებული ვიდეო გაკვეთილების ხარისხი ძალიან კარგია?
2	თქვენი მასწავლებლის მიერ მომზადებული ვიდეო გაკვეთილები გასაგებია?
3	ამზადებდით გაკვეთილებს ძირითადად თქვენი მასწავლებლის მიერ მომზადებული ვიდეო გაკვეთილების გამოყენებით?
4	ამზადებდით გაკვეთილებს ძირითადად სხვა რესურსების გამოყენებით?
5	Kahoot-ის კითხვები შედგენილი იყო ვიდეო გაკვეთილებისა და netacad.com-ის საფუძველზე.
6	Kahoot-ს აქვს კარგი ფორმატი იმისთვის, რომ შეფასდეს ვიდეო გაკვეთილებიდან მიღებული ჩემი ცოდნის დონე.
7	მოგწონოთ სტუდენტების (ჯგუფების) მიერ მომზადებულ ლექციებში მონაწილეობის მიღება?

8	ქვიზის კითხვები და ფორმატი კარგია ცოდნის დონის გასაგებად?
9	მე მომწონს ის, რომ ჩემი მასწავლებელი იყენებს „ტელეგრამ“-ს კურსის შესახებ ინფორმაციის გასაზიარებლად.
10	მოგწონთ netacad.com-ზე წაკითხული მასალის გამოყენებით გაკვეთილების მომზადება?
11	არის Cisco Packet Tracer-ით ჩატარებული ლაბრატორიული სამუშაოები ძალიან სასარგებლო როუტერებისა და სვიჩების კონფიგურაციისთვის?
12	მოგწონთ ლაბორატორიული სამუშაოების ფორმატი?
13	ზოგადად, გესმით, რა არის კომპიუტერული ქსელი?
14	ისურვებდით, რომ ყველა სხვა გაკვეთილიც მსგავსი ფორმატით ჩატარდეს (ვიდეო გაკვეთილების გამოყენებით და აუდიტორიაში ჩატარებული ტრადიციული ლექციების გარეშე)?
15	თუ უნივერსიტეტი გააუქმებს ტრადიციულ ლექციებს და დანერგავს „შებრუნებული“ კლასის ფორმატს, რომლის დროსაც თქვენ გექნებათ ვიდეო გაკვეთილები, როგორ ფიქრობთ, ეს უფრო გააადვილებს და ეფექტურს გახდის სწავლას?
16	მომავალში გაქვთ სურვილი აიღოთ „სისკო“-ს CCNA (სერტიფიცირებული ქსელის სპეციალისტის) სერტიფიკატი?
17	ვიდეო გაკვეთილები ჯობია, თუ აუდიტორიებში ჩატარებული ტრადიციული ლექციები?

ცხრილი 12. სტუდენტების პასუხები (ერთეული: %), მე-2 მცდელობა

